დავით ასლანიშვილი

ჯანდიერი

ისტორიული მოთხრობა

ს. ფურცელაძისა

გამოცემა

ზ. ჭიჭინაძისა

Г. Тифлисъ 1888 г.

Типографія Е. Г. Месхи

ნინა ალიკოვნა ალმაგია-
ლოს აკადემიკოსი.

დავით ასლანიშვილი

ჯანდი

Дозволено цензурою Тифлисъ 15-го Декабря 1888 года.

დავით ასლანიშვილი—ჯანდიერი

მოსისხლე შაჰ-აბაზისა.

რაღა თქმა უნდა, მკითხველო, შენ პირველად გესმის ეს სახელი.

არც არის საკვირველი, რადგან შენ ისტორიაში არ ჩაგიხედნია, და თუნდა ჩაგეხედნა კიდეც, თუ არ ბევრის ძებნისა და ქექვის უკან, ვერ გამოიგნებდი ამ დაუვიწყარს დიდებულს კაცს, რადგან: ზოგან იხსენება დავით ასლანიშვილად, ზოგან დავით ბეგად, ზოგან დავით ხანიშვილად, ზოგან დავით ჯანდიერიშვილად, და სხვა-და-სხვა საქმეში სულ სხვა-და-სხვა გვარად.

როდესაც ვახსენებთ ამ სახელს, გარწმუნებ, ჩემო მკითხველო, და მეტადრე კახელო, გმართებს მოიხადო ქუდი და ისე ისმენდე ამ სახელის ხსენებას.

შენ გაგიგონია, რასაკვირველია, ბუნ-

დად სახელი შაჰ-აბაზისა, მაგრამ შენ შაჰ-აბაზი ის შაჰ-აბაზი გგონია, რომელიც სწერია დავით ერისთავის ზღაპარში და რომელსაც ეწოდება „სამშობლო“. შენ წარმოდგენილი გაქვს, რომ შაჰ-აბაზის წინააღმდეგნი და მებრძოლნი იყვნენ ლეონიძეები, ხიმშიაშვილები და ამისთანები. ნამდვილი-კი, ვინ იყო შაჰ-აბაზი, რა დღეები დააყენა იმან საქართველოს, ვინ იყვნენ ქართველებში მებრძოლნი და წინააღმდეგნი შაჰ-აბაზისა, მხსნელნი თავის სამშობლო ქვეყნისა, შენ ესა იკი-რა.

აი ეს უცნობი შენთვის კაცი არის ის ზღაპრული კაცი-კი არა, რომელთაც შენა ჰხედავ „სამშობლოში“, არის ნამდვილი მოქმედი კაცი, თავ-განწირული თავის ქვეყნისთვის, დამხსნელი თავის სამშობლოსი ტყვეევნისა და მთლათ მოწყვეტისაგან.

იყო მედგარი დრო, რომელსაც ეტყვიან შაჰ-აბაზის დროს და რომლისაც მსგავსი, როგორც მოგვითხრობენ მატიანენი, თავის გაჩენიდამ სა-

ქართველობს არ დასდგომოდა. ეს იყო ის დრო, როდესაც ძლიერმა და საშინელმა შაჰმა სპარსეთისამ, აბაზმა გადასწყვიტა მოუღობს ბოლო საქართველობს სახსენებელს.

შაჰ-აბაზს ჯერ დიდხანს არ ეცალა ამ საქმისთვის. მანამ მოიცლიდა, ის შეუდგა შორიდამ საქმეს, რომ დაესუსტებინა კახეთი და აღარ გასძნელებოდა მისი ბოლოს მოღება.

შაჰ-აბაზმა ამის გულისთვის იქიდამ დაიწყო, რომ საქართველოში შეიტანა შინაური არეულობა.

იჯდა ამ ხანებში კახეთს მეფედ ალექსანდრე მეორე, რომელმაც მიიღო რუსების ქვეშევრდომობა და იყო მეფე ესე, რომელიც უფრო ზრუნავდა სანადირო ადგილებისთვის, ვიდრემ სამეფოსთვის, და იტყოდა: ახ, როდის იქნება გამოიხრდეს კახეთი, რომ ბლომად გამიჩნდეს სანადირონიო.

და შეუსრულდა მეფესა მას სურვილი იგი და გაიხრდა კახეთი მთლად და იქცა ქვეყანა იგი სადგურად მხეც-

თა და ნადირთა... ხოლო არა მოეწყრო ალექსანდრე სანატრელსა მას სანახავსა...

ჰყავდა მეფე ალექსანდრეს სამი შვილი: დავით, გიორგი და კოსტანტინე. კოსტანტინე იყო გაზრდილი სპარსეთში აბაზის კარზედ და იყო გამაჰმადიანებული. დავით და გიორგი ჰყავდა შინა. დავით, რომელსაც ცოლად ჰყავდა აშოთან მუჯრან-ბატონის ქალი, სახელოვანი მოწამე ქრისტესი ქეთევან, მოკვდა. გიორგის მისცა ალექსანდრემ მეფობა, რომ მისსა და იმის შვილს შორის უსიამოვნობა არა მომხდარიყო-რა.

კახეთი იყო მაშინ მჭიდროდ დასახლებული და მორჭმული, ესე იგი, შემკული ყოველის დიდებითა და ბედნიერებით. განიხარებდა და დასტკბებოდა კახეთი თავის ბედნიერს ქვეყანაში და არ ელოდნენ, რა ღრუბელიცა ზავდებოდა ამათს თავზედ.

როგორც ქართველები, ეგრეთვე შირვანი, რომელიც დევს კახეთის მეზობლად, არ უდებდნენ ყვენს თავსა.

რომ მიეშველებინათ კოსტანტინეს-
თვის ჯარები. თვითონ კოსტანტინეს
შემოუთვალა: არა გრცხვენიან, რომ
დედაკაცი გჯობნისო. წადი და ისიცა
და მთელი კახეთიც ძალით დაიჭი-
რეო.

კოსტანტინემ შეჰკრიბა შირვანისა
და სხვა სახანო ჯარები, მოიყვანა
თვისი მომხრე კახელობა და შემოე-
სია დიდ-ძალის ჯარით კახეთს. კოს-
ტანტინე დადგა ბაზარში.

ქეთევანმა შეჰყარა თვისი მომხრე
კახელობა. სთხოვა ქართლის მეფე
გიორგის შველა, რომელმაც გამო-
უგზავნა პაპუნა ამილახვარი ჯარე-
ბით.

ჯარი კოსტანტინესი იყო ბევ-
რით მეტი ქეთევანის ჯარებზედ.
ამის გამო საშიში იყო კოსტანტინე
ამათთვის. რომ უფრო მხნეთა ყო-
ფილიყვნენ კახელობა და გაუმარ-
ჯვებლივ არ გამობრუნებულიყვნენ,
ყველა კახთა თავად-აზნაურთა ცო-
ლებმა, რძლებმა, დედებმა და ასუ-
ლებმა გადასწყვიტეს შუა ჯარში და-

მდგარიყვნენ დედოფალთან ერთად ერთის დროშის ქვეშ. აქ დარჩენილიყო კახელებისთვის ან სიკვდილი, ან გამარჯვება.

ეს იყო საოცარი მაგალითი თავგანწირულებისა.

ეს კიდევ ცოტაა. კახელობა ამასაც არ დასჯერდა...

აქედან იწყება ჩვენი გაცნობა დავით ასლანიშვილი—ჯანდიერისა.

ეს დავით ჯანდიერი, ანუ ასლანიშვილი, დავით ვაჩნაძე და ძმა იმისი თამაზ ვაჩნაძე, სამნიენი საიდუმლოდ შეითქვნენ, რომ ბრძოლის დროს უთუოდ იმდენი ეძებონ, ვიდრემ იპოვნიან კოსტანტინეს. მაშინდელს დროში ბრძოლაში კაცის ცნობა ძნელი იყო, რადგან ბევრს თავზედ ებურა რკინის მუზარადი.

იმ ლამეს კოსტანტინემ, თანაერთა ჩვეულებისამებრ, აყრევინა რამლი, აკითხვინა ვარსკვლავებზედ მესტროლაბეთა, და გამოჩნდა ცუდი ნიშნები.

კოსტანტინეს არ უნდოდა მეორე ღღეს ომი. მესტროლაბეთა სიტყვა

მძიმედ ჩასწვდა გულში. მაგრამ ის წაიცდინეს თავისმა მომხრე კახელობამ. იმათ უთხრეს, რომ ქართლის ჯარის მხედართ-მთავარი პაპუნა ამილახვარი შენი ნათესავია და შენს მხარს დაიჯერსო.

გაბრიყვდა კონსტანტინე. იმან დააწყო რაზმი, თითონ პირველი მოუძღვა და მთლად დაწინაურდა, რომ ეცნობებინა თავი პაპუნა ამილახვრისათვის.

გააწყო რაზმები დედოფალმა და დადგნენ მთელთა თავად-აზნაურთა ქალ-რძალნი დედოფალთან დროშის ქვეშ.

უცებ შუა ჯარიდამ გამოირჩა სამი დატყუპებული მეომარი და გასწიეს საშინელის სიფიცხით გულ-დაგულ კონსტანტინეს ჯარებისაკენ. ამათ მიჰყვნენ სხვა კახელებიც.

კონსტანტინემ თავისის მხლებლებითიკადრა უკან გამობრუნება, რომ შეჰფარებოდა თავის მხედრობას და მოესია თავისი რაზმები საომრად. მაგრამ ეს სამი გმირი-მხდარი მოსწვდა ამა-

სა და შეიქმნა ბრძოლა. შეთქმუ-
ლებმა დასცეს შუბი, გადმოაგდეს
კონსტანტინე ცხენიდამ და განართ-
ხეს მიწაზედ.

კონსტანტინემ იცნო თავისი მკვლე-
ლები და დაუწყო ხვეწნა:

— ნუ მომკლავთ, დაგრჩომიეართ! —
შესძახა იმან ვედრებით: — თქვენს ხე-
ლთა ვარ, მთხოვეთ, რაც გინდათ,
ოღონდ ნუ გამიმეტებთ სასიკვდი-
ლოდ!..

მაგრამ არც ასლანისშვილი, არც
ვაჩნაძეები არ იყვნენ ისეთი კაცნი,
რომ გაეშვათ ცოცხალი ის მამისა და
ძმის მკვლელი, რომელიც ამასთანა-
ვე სამშობლო ქვეყანას ხდიდა მონად
სპარსეთის შაჰისა.

იმათ მოჰკვეთეს თავი კონსტანტი-
ნეს და მოართვეს ქეთევან დედუ-
ფალს.

კონსტანტინეს სიკვდილმა მოუღო
ბოლო კონსტანტინეს ჯარებსაც. იმათ
ჰნახეს თუ არა კონსტანტინეს მოკვ-
ლა, დაიძრნენ ზარდაცემულნი და
გარბოდნენ ვინ ვის გაასწრებდა. ჯა-

რი ქეთევან დედუფალისა დაერია
იმათ და სდ ეს სულ შირვანამდის.

ქეთევან დაბრუნდა გამარჯვებული
და დაიჭირა მთელი კახეთი.

ქეთევანმა გაგზავნა სპარსეთს კაცნი
და მოაყვანინა თავისი შვილი თეიმურაზ, რომელსაც ჩააბარა თავისი
სამეფო.

დავით ასლანიშვილი-ჯანდიერი შეიქმნა
სამეფოში ერთი პირველ კაცთაგანი.

II

გამოხდა ხანი. შაჰ-აბაზმა იმარჯვა
დრო და შემოესია კახეთს.

თეიმურაზმა მისცა შაჰ-აბაზს ხელში
თავისი დედა ქეთევან, ორად-ორი
შვილი: ლევან და ალექსანდრე, და თითონ
თავისის დიდებულებით გავარდა
ქართლში და ქართლიდამ იმერეთში.

ასლანისშვილი ანუ დავით ჯანდიერი
დარჩა აქა. ის არ უპირებდა აბაზის
კახეთში შემოშვებას. ის ამაგრებდა
სანგრებს და უპირებდა უკანასკნელის
წვეთის სისხლამდის ბრძოლას. მაგრამ,
როდესაც ჰნახა,

რომ გაეარდა მეფე, გაჰყენენ თან უკეთესნი დიდებულნი და მომეტებული ნაწილი შეკრებილის ჯარისა, ის, მცირე ბრძოლის უკან, იძულებულ იყო გასცლოდა სპარსთა. შემდეგ, როდესაც დიდი-მოურავის საკაძის მეცადინეობით შაჰმა ალარ ინდომა წახდენა კახეთისა და იწყო ხალხისა ლმობიერად მოპყრობა, ასლანის-შვილმაც დაუკრა თავი ყეენს. ეს თავის დაკვრა უფრო იმისი იყო, რომ დაეთათბირებინა ყეენი, ვიდრემ მართალის გულით მოეხარა იმის წინ თავი. შაჰ-აბაზზედ ამისმა ვაჟკაცობამ, დიდებულმა სანახაობამ, მალალმა გონებამ და ნამდვილმა კეთილ შობილურმა შეხედულობამ და სახისმეტყველებამ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ყველაზედ მეტად ეს დაიახლოვა შაჰმა.

შაჰმა მისცა კახეთი გიორგი მეფისშვილს იასეს, რომელიც, შემდგომ კონსტანტინესაგან ამის შამის მოკვლისა, იყო სულ სპარსეთში და მიილო მაჰმადიანობა, იასეს სახლთ-უხუ-

ცესობა შაჰმა მისცა ასლანის შვილს და იასეცა და კახეთიც ჩააბარა ამასა და ნოდარ ჯორჯაძეს.

გავიდა შაჰი კახეთიდამ.

იასე იყო სულითა და გულით სპარსი და ყორნის მთაყვანებელი. ყოველივე ქართული მიეჩნდა საზიზღრად.

პატიოსნებითა და ქვეყნის სიყვარულით ალსავსე გული ასლანიშვილისა ვერ ინელებდა იმას, რომ ამისი საყვარელი სამშობლო, ქვეყნიერი სამოთხე, კახეთი გამხდარიყო ვისიმე მონა, დაეკარგა თავისი ეროვნება, თავისი თავისუფლება.

გავიდა თუ არა შაჰი და ჰნახა ასლანის შვილმა რაც გამოვიდოდა იასე მეფისაგან, ის შეუდგა კახეთის განსათავისუფლებლად ძზადებას.

იასე მეფის დასაცველად, გასაძლიერებლად და კახეთის მკვიდრად ზელში დასაჯერად; ამასთან რომ თეიმურაზ ველარ შემოვიდეს თავისს სამეფოშიაო, შაჰ-აბაზმა გამართა ალავერდის ტაძრის გარშემო დიდი ციხე-

გალავანი და ჩააყენა შიგ მეციხოვნე სპარსელები. ეგრეთვე დააყენა ჯარი გრემში, ზეგანში და სხვაგან და ყველა სპარსთა ჯარები ჩააბარა ბეგთა-ბეგს, რომელიც იდგა ზეგანში. ასლანიშვილმა დიდად საიდუმლოდ გაგზავნა მთაში კაცები და გაამზადებინა მთაში მზა ჯარი ათი-ათასი კაცი. მისწერა თეიმურაზს, რომ მზათა ყოფილიყო წამოსასვლელად. თეიმურაზ დააიმედეს ოსმალთაც და ისიც ემზადებოდა კახეთში შემოსასვლელად.

დადგა 14 ენკენისთვე, დიდი ქართველების დღესასწაული ალავერდისა.

შეიყარა დიდი ხალხი. შეიარაღებული თუში, ფშავი და ხევსური მოდიოდა აუარებელი.

აირივნენ სპარსნი და ქართველები ერთმანეთში. სპარსნი ცხადლივ დასცინოდნენ და ჰკიცხავდნენ ქართველთა სალოცავს. ქართველნი, და მეტადრე ამაყი მთის ხალხნი ვერ ითმენდნენ და ბრაზით უყურებდნენ აქ მყოფს სპარსელებს.

ბიბლიოთეკა

ასლანიშვილის და ამამაზ ვაჩნაძის კაცები დაძვრებოდნენ ხალხში და ასი-სინებდნენ ქართველებს სპარსელებ-ზედ. ეს იყო მარჯვე დრო. დედ-ძალი იარალიანი ქართველობა იყო აქ მეყ-რილი, სპარსნი შესაჭმელადაც არ ეყოფოდნენ ამათ. ხალხი იყო ამრე-ზილი. იმას საკუთარი ქრისტიანე მე-ფე ჰყავდა განდევნილი, დედა და შვი-ლები იმისი ჰყავდა ურჯულო შაჰს დატყვევებული, აქ ბატონობდნენ სპარსნი და დასცინოდნენ კიდეც ამათს ხატს, ამათს სალოცავებს.

შეთქმულობის შესასრულებლად უკე-თეს ალაგსა და დროს ვერ იპოვნი-დნენ.

ასლანიშვილი მხოლოდ ეცადა, რომ ეხლა ამ დღეობაში მოსულიყო კვლავინდელზე მეტი შეიარაღე-ბული ვაჟკაცი ხალხი...

ერთი უბრალო მიზეზი ორთავე ამ რეზილი მხარისათვის და შეიქნა უცებ ცემა და ჩხუბი სპარსთა და ქართვე-ლთა შორის.

დაიჭრა რამდენიმე ქართველი.

უცებ გაისმა ხმა ასლანიშვილისა:

— მუსრი ამ ურჯულოთა!

და გავარდა თოფი, იელვა ხმალმა! შეიქნა საშინელი სისხლის ღვრა. თითონ დავით ასლანისშვილი, თამაზ ვაჩნაძე და მათთან ერთად შეთქმულები გაუძღვნენ განრისხებულს ქართველობას. რამდენისამე საათის განმავლობაში აღარც ერთი სპარსელი არ გადაურჩა ქართველების მრისხანებას.

ასლანიშვილმა მაშინვე აფრინა კაცი თემურაზთან იმერეთში და გადმოაყვანინა.

შეიქმნა მთელს კახეთში მოძრაობა და ქლეტა სპარსთა.

აქედამ შესძახა ასლანიშვილმა მთის ხალხს, მთელს კახეთს და შეაგროვა ოც-და-ორ ათასამდის კაცი. გადმოვიდა თეიმურაზ და იმას ეს ამბავი ენა ჯარი და სამეფო დაჰხვდა მზად.

ჩააბარა თეიმურაზს სამეფო და ასლანიშვილი გადუხტა გრემს სპარსთა, სადაც მოიკლა მეფე იასეც, და შე-

მუსრა მთლად სპარსნიც. აქედამ მიუხტა ზეგამს ბეგთაშ-ბეგს. შეიპყრა ისიკა, იმისი ხანებიც და მთლად ჯარებიც და აღარც ერთი აღარ გაუშვა ცოცხალი.

რამდენისამე დღის განმავლობაშა მთელი კახეთი გასწმინდა ასლანიშვილმა სპარსთაგან...

თეიმურაზ არ დასჯერდა ამ გამარჯვებებს. იმან დაიწყო სპარსელებზედ მძვინვარება. შეუხტა სპარსეთს და უწყო ოხრება. გაწყვიტა სპარსთა ვაჭრები მთლად და დაისაკუთრა იმათი ქონება.

III

ჩაუვიდა ყველა ეს ამბავი სპარსეთში შაჰ-აბაზს. ის, როგორც მრისხანე ვეშაპი, დაიძრა საშინელის სისწრაფით კახეთისაკენ მთელის თავისის ჯარებით. თეიმურაზმა კიდევ ვერ შეჰბედა აბაზს ბრძოლა და გავარდა იმერეთში.

ასლანიშვილი და ნოდარ ჯორჯაძეც იძულებულნი იყვნენ გასცლოდნენ საშინელს მრისხანებას და დიდ-

ძალს ჯარს შაჰისას!

ცხადია, როგორც შემდეგში ვნახავთ, რომ დავით ასლანიშვილი ანუ ჯანდიერი დარწმუნებული იყო, რომ შაჰ-აბაზი კიდევ ლმობიერად მოექცეოდა კახეთს, თორემ ის არ გაუშვებდა უპატრონოდ ქვეყანას, რომელიც ასე უყვარდა და რომლისთვისაც არა ჰზოგავდა თავს.

შაჰ-აბაზი შემოესია საშინელის მძვინვარებით კახეთს და დაუწყო მუსრვა უპატრონოდ გაშვებულს ხალხს. მთელს კახეთს ეკიდა ცეცხლი. მთელს კახეთს ებჯინა ყელში დანა. მთელი კახეთი გარბოდა გამფრთხალი ნადირივით თავისის ქვეყნიდამ და სწრაფობდა ხადმე გადავარდნასა და გაცლას საშინელის მომდგარ უბედურებისაგან.

გაიმუსრა და დაცარიელდა კახეთი.

შაჰი გაძღა სისხლით. ის დარწმუნდა კახეთის ბოლოს მოღებაზედ და გავიდა კახეთიდამ გოგჩის ტბაზედ ოსმალების გზების შესაკრავად, რომლებისაც ეფიქრებოდა, რომ ქართველებს ვაი თუ მიეშველნენო.

გავიდა თუ არა შაჰი, მაშინვე ასლანიშვილი-ჯაბადიერი ეცა კახეთს. იმან და იმასთან შირვანელმა დალიმელიქმა, რომელიც თავისის ხალხით იყო სპარსთაგან კახეთში გადმოსახლებული, გამოასხა საბიზნავებიდამ ხალხი და უწყო მოშენება კახეთს. ხალხი ჩამოგროვდა მთებიდამ. იწყეს სოფლებმა და ქალაქებმა შენება.

შაჰი დარწმუნდა, რომ ოსმალნი შორს იყვნენ და მალე ვერ მოეშველებოდნენ ქართველებს. იმან თითქმის მთელის თავისის ჯარით მოუბრუნა კახეთს თავისი სიძე ისა-ხან ყორჩიბაში და მისცა ბრძანება, რომ ვისაც იარაღის ხმარება შეუძლიან, მთლად გამუსროს; ვისაც არა, დაატყვევოს და გაისტუმროს სპარსეთში და ქონება მათი გაასწოროს დედამიწასთან.

ისა-ხან ყორჩიბაში სრულიად მოულოდნელად მოადგა და შემოერტყა კახეთს, მაგრამ ახლა კახეთი აღარ იყო უპატრონო. თავისი გმირი, თავისი სახელოვანი კაცი დავით ასლა-

ნიშვილი ჰყვანდათ თავისთან და იყო ამათი თავადი ანუ მოთავე.

თქმა არ უნდა, მრავალთ კიდევ მოასწრეს სპარსთა, გაავლეს მუსრი და დაატყვევეს, მაგრამ, რაკი ერთი მოვიდა გონს ასლანიშვილი, იმან საჩქაროდ შეაკვეცა ფრთები სპარსთა გამბედაობასა და წინანდელს ძალადობას.

აქ იჩინა ასლანიშვილმა უმაგალითო ძალა მტრის გაცლისა და მტრის ძალის ალაგმისა.

ასლანიშვილმა შეჰკრიბა საუკეთესო ვაჟკაცობა, ჩაუყენა სპარსთა ჯარებს კრიჭაში, შეუკრა ვიწროები და სიმაგრენი, თითონ გასცა ხალხზედ ბრძანება და დასძრა ხალხი თავისის ბარგ-ბარხანითა და ხაბაკით გასახიზნავად თუშ-ფშავ-ხევსურისა და დიდ-კაპუჭის მთებისაკენ.

ათასობით და ათი-ათასობით ურემი, ცხენი, ჯორი, ვირი, საქონელი, ცხვარი, ქვეითი და ცხენოსანი ხალხი იძროდა მთის ხეობისაკენ და მიეშურებოდა მოქანცულ - მოწყვეტილი

საშინელს ზამთრის სიცივესა და ტეხვრაში სულების გასწორებას მძვინვარე სპარსთა მახვილისაგან.

ცხენოსანი და ქვეითი სპარსელობა აწვებოდა და ესხმოდა ზარ-დაცემულს ქართველობას, მაგრამ საოცარი მხნე და გაუტეხარის სიმაგრის კაცი დავით თავისის ჯარებით უდგა სპარსთა კრიჭაში და არ უშვებდა, რომ დაეყრევინებინათ ამათთვის ამათი ცოლ-შვილი და ხაბაკი.

უმაგალითო იყო ეს მოძრაობა მთელის ხალხისა თავისის ხაბაკით და იარაღით მტრის კრიჭაში დგომა და გაცლა.

აგერ საშინელს მყინვარს და თოვლისაგან დაზვინულს მთის ხეობაში შევიდა დიდ-ძალი ქართველობა. აგერ მიატანეს სამშვიდობოს. ყინვა და თოვლი ჰხუთავს იმათ სულს, სიმშილი და უბინაობა ულევს სხეულში ძალას. მაგრამ იკრებენ უკანასკნელს ლონეს, რჩებიან სპარსთა მახვილს, აღარა ჰნახავენ თავისის ცოლ-შვილის სიხლს, უბედურებას, გაუპატიურებას, თავისს ტყვეენასა და ტყვეობის

წამებას... და უცებ მთის წვეროებიდამ მოჰკრეს თვალი, რომ უმთავრესი ძალა სპარსთა შემოდის საშინელის სისწრაფით ხეობაში, აგერ-აგერ მოსწვდებიან ამათ და ველარც ერთი ამათგანი ველარ გადარჩება მათს მახვილს, მათს მრისხანებას.

ამ ძალას მოუძღოდა თვით სპარსთა თავი მხედართ-მთავარი ისა-ხან ყორჩიბაში.

შეიქნა საშინელი ქრიამული. ბავშვთა და დედაკაცთა გოდება წარმოადგენდა სწორედ მეორედ მოსვლის განწირულს საცოდავობის ხმას.

უცებ გაჩნდა მხსნელი კახელებისა.

— ვაქკაცნო!—შესძახა დავითმა:— მომყევით მე და გიჩვენებთ მაგ ურჯულოების უნარს!..

საუკეთესო ვაქკაცობა გადირჩა და გაჰყვა თან ასლანიშვილს. მოხუცებულნი და ვიცაც იარაღის ხმარება არ შეეძლო, გაუმძღვარა წინ ხიზანსა და გაუშვა წინ. თითონ იარაღიანის ხალხით დადგა უკან და გაჰყო მთელი ეს ჯარი ორად. ნახევარი ჯარი

ჩაასაფრა იქვე და ნახევარი ჯარი წაიყვანა კარგა შორს და ჩააყენა მეორედგან. ერთგანაცა და მეორედგანაც ჩასაფრულს ჯარს უბრძანა, რომ მანამ მე არ მოგცეთ ნიშანი, არ ეჩვენოთ სპარსთა და არ გაბედოთ იმათი ხელის ხლება.

ჯარები ჩასაფრდნენ საშინელს მთის ვიწროებში და ჩაიმალნენ.

მთაზედ მოდიოდა მარტო მთის ბილიკი, გადატკეცილი თოვლითა და ყინულით. კაცი და ცხენი ძლივს იკიდებდა ფეხს. მირს ქვესკნეთში იყო უფსკრული, თვალ-ჩაუწდომელი სიღრმე.

შემოდგა ამ მთაზედ და გამწკრივდა სპარსთა ჯარები, რომელნიც ეშურებოდნენ გაქცეული ქართველობის მოწევას. აგერ ცოტა კიდევ და მთელი ქართველობა იყო ამათ ხელთ.

აქ უცებ მისცა დავითმა ნიშანი და შეიქმნა მუსრვა წაქეზებული სპარსთა ჯარებისა. შეიქნა მუსრი უწყალო. რაც ცხოცებოდა, იხოცებოდა ქართველობის ხელით, რაც-არა და,

არეული და ზარ-დაცემული ქვეითობა თუ ცხენოსანი ცვივოდა მთის მაღლობიდამ უფსკრულში და ხდებოდა ყვავთა და ყორანთა საჭმელი. აქ მოჰკლეს სპარსთა სარდლები: ფეიქარხანის ძმა, რომელსაც ქართველებმა ჰკრეს თოფი გულში და იქვე გაანთხევინეს სული; ბეგთა-ბეგ უზბაში, ისპაანის მირ-თათაშ-მირბაში. ისეთი საშინელი მარცხი და მუსრი მიაყენეს სპარსთა უმთავრესს ძალას აქ ქართველობამ, რომ, სპარსთა მწერალთა სიტყვით, ამ მარცხით წახდა უმთავრესი ჯარი სპარსთაო.

თითონ ისა-ხან ყორჩიბაშმა ძლივს გამოასწრო იმ ჯარებით, რომელნიც ჯერ არ შესულიყვნენ ამ საშინელს მთის ვიწროებში...

ამითი გადაარჩინა ასლანიშვილმა უმთავრესი კახთა მოსახლენი გაწყვეტასა და ტყვევნას. როგორც აქ უმთავრესი კახთა ხიზანნი, ისე სხვა ხეობებში ნაწილ-ნაწილად გამხიზნველნი გადაარჩინა ასლანიშვილის გონივრულმა განკარგულებამ, რომელსაც

დიდად ეხმარებოდა შირვანელი დალიმელიქი და ასლანიშვილზედ ნაკლებ აღარ ირჯებოდა ქართველებისათვის.

ამ გვარად, ვინც-კი გადარჩა აბაზის მახვილს დატყვევნას კახეთში, გადარჩა დავით ასლანიშვილი-ჯანდიერის თავ-განწირულებითა და გონიერულის წყობილებით.

IV

გავიდა ხანი. კახელობა ბრუნდებოდა და ბინადრდებოდა ისევ თავისს ალაგას. შაჰ-აბაზისგან დაყენებული კახეთში მეფის მაგივრად ფეიქარ-ხანი, აბაზის საიდუმლო განკარგულებით, თითონაც სცდილობდა, რომ კახელობა გამოსულიყო სახიზრებიდამ, რათა ბოლოს ამათ ერთად თავ-მოყრილთათვის ერთბაშად მოესწრო და ბოლო მოელო. თუმცა მომეტებული ნაწილი გამფრთხალი და შეშინებული რჩებოდა ისევ გარეობას და აღარა ბრუნდებოდა კახეთში.

უკვე მოვიდა დიდ-ძალი ჯარი

სპარსეთიდამ ქართლში შაჰის მრისხანე ბრძანებით, რომ კახეთი მთლად გაიმუსროს და ქართლი მთლად აიყაროს!..

იდგა რისხვა ცისა ქვეყნის თავს. საქართველოს აღარა ჰქონდა ხსნის გზა. უნდა მთელი საქართველო მოსპობილიყო პირისაგან ყოვლისა ქვეყნისა.

აქ უცებ შეიქმნა საკაძისა და ასლანიშვილის შორის რაღაცა მოლაპარაკება. ასლანიშვილი აენთო, ის ეცა მთას, შესძრა ბარი, ის რაღასაც მოძრაობდა საიდუმლოდ, რაღასაც მძიმეს ამზადებდა... მთელი კახეთობა, გასახიზნ გზებ შეკრული, განწირულებით ელოდა თავისს განკითხვის დღეს, თავისს საშინელს დასასრულს. მაგრამ ყველა ჰხედავდა, რომ ამათი გმირი დავით რაღასაც მხნეობს, რაღასაც მოძრაობს, რაღასაც იმედობს და ამხნევებს ხალხს.

დადგა 25 მარტი, ხარება დღე 1623 წლისა.

უცებ იფეთქა მთელმა კახეთმა, გა-

ვარდა მართლაცა-და სახარებელი ხმა: ასლანიშვილმა შესძახა, რომ სააკაძე ჩვენსკენ არის, გამუსრა იმან ქართლში მდგომი მთლად სპარსელობა და ახლა ჩვენი რიგიაო!..

მთელი კახეთი უცებ ეცა იარაღს და უცებ სააკაძისა და კახელების ჯარი დაეცნენ ფეიქარ-ხანის ჯარებს, მარტყოფსა და კახეთში მდგომთ... შეიქმნა მუსრი სპარსელებისა...

ფეიქარ-ხანმა ძლივს გაახწია და გაასწრო მცირე ჯარით, რომელიც გადარჩა გაწყვეტას.

სააკაძე ეცა გაქცეულს ფეიქარ-ხანს და ასლანიშვილი თავისის კახელობით აქეთ-იქით ხეობებსა და ციხეებში დამგარ სპარსთა...

რამდენსამე დღეს მთლად ქართლ-კახეთი გადარჩა საშინელს განსაცდელს, კახეთი გადარჩა მთლად მოსპობას...

სააკაძემ შეაერთა ერთ სამეფოდ ქართლ-კახეთი და ახლა ასლანიშვილი საოსმალოში მყოფს მეფე თეიმურაზს, რომ მოსულიყო და მიეღო ორივე სამეფო.

ასლანიშვილმა გადმოიყვანა თეიმურაზ და სააკაძესთან ერთად უძღვნა თეიმურაზს აუარებელი სიმდიდრე და სამეფო ხამკაული.

V

შაჰი არ ეშვებოდა საქართველოს, უპირებდა უთუოდ ბოლოს მოღებას. ახლა ხომ უფრო მრისხანებდა ქართველებზედ.

ამ საშინელის მარცხის უკან, რაც ქართველებმა და კახელებმა მიაყენეს სპარსთა, შაჰი ხომ უფრო იყო აღელვებული. იმან დასძრა მთელი ირანის ჯარი და გამოგზავნა თავისის მრისხანე ბრძანების შესასრულებლად. ახლა ქართლიცა და კახეთიც უნდა მთლად გამუსრვილიყო.

მაგრამ ახლა ადგა ქართველებს თავს სააკაძე და ასლანიშვილისთვის საშიში აღარ იყო, რომ თეიმურაზი კიდევ წანანდებურად დაანებებდა ქვეყანას თავსა და გაიქცეოდა.

მოვიდა სპარსთა ურიცხვი ჯარი

და დადგა ალგეთზედ, ხრამსა და ალ-
გეთს შუა.

სააკაძე იდგა ჯარებით კოჯორის
მთაზედ.

ასლანიშვილი და ალათანგ ხერხეულ-
ძე, როგორც გამოცდილნი კაცნი,
დააყენა სააკაძემ მოწინავეთა სარდ-
ლებად და ამათვე მიანდო დარაჯო-
ბა სპარსთა ჯარებისა.

ასლანიშვილი და ხერხეულიძე არც
დღე და არც ღამე არ ასვენებდნენ
სპარსთა და თითქმის დღე არ გადი-
ოდა, რომ სპარსთა თავები არ ეგზავ-
ნათ სააკაძისა და მეფე თეიმურაზისა-
თვის.

ასლანიშვილი ისწრაფოდა სპარსთა
ჯარებთან ბრძოლას. იმისი ამპარტავა-
ნი გული ვერ იტანდა, რომ ამდენი
ხანი სპარსნი იდგნენ საქართველოში
დაუსჯელად.

ყოველს შეტაკებაში, ყოველს ბრძო-
ლაში ისა სძლეოდა და ამარცხებდა სპა-
რსთა, ის დარწმუნდა მათს უძლურე-
ბაზედ და თხოულობდა სასწრაფოდ
სპარსთა ბანაკზედ მიხდომას.

— რა ჯარია! — უთვლიდნენ ესა და ხერხეულიძე საკაძესა და მეფე თეიმურაზს: — განა ამათ შეუძლიანთ რამე... თუ არ მოხვალთ თქვენა, მარტო ჩვენ მივუხტებით და შევმუსრავთ... რა შეუძლიანთ ამათ ჩვენთან...

ქვეყნის სიყვარულითა და საკუთარის გმირულის გულით გატაცებული დავითიარა ჰხედავდა სპარსთა ნამდვილს ძალას. ის დარწმუნებული იყო, რომ ამისგან თუშ-დაღესტნის მთებში დამარცხებული ისა-ხან ყორჩიბაში კვლავ ადვილი მოსარევი იყო. მაგრამ საკაძეს გენი ჰხედავდა, რაც ძალა და წყობილება ჰქონდათ სპარსთა, რაც სარდლები იყვნენ მოსულნი სპარსეთიდამ. საკაძე იგვიანებდა. ისა სცდილობდა, რომ თითონ გამოეტყუებინა სპარსნი ბანაკიდამ.

მთავართა და დიდებულთ ჩამოართვეს საკაძეს მთავარ-სარდლობა და მისცეს თეიმურაზ მეფეს გამგეობა მთელის ჯარებისა.

თეიმურაზი ჩაუხტა სპარსთა ალგეთ-

ზედ. დაიწყო ომი, ომი მარაბდისა, რომელიც ასე დაუვიწყარი დარჩა ქართველთა ხსოვნაში.

მხოლოდ აქ შენიშნა გმირმა დავითმა თავისი შეცდომა.

მივიდა თუ არა ქართველობა, სპარსთა მოსცეს იმოდენა თოფ-ზარბაზანი, რომ, მატიანეთა თქმით, კაცს ეგონებოდა ცა ინგრევაო. თოფის წამლის კომლისაგან მთლად დაბნელდა ჰაერი. ქართველები თვალთაგან ველარასა ჰხედავდნენ. სპარსთა ჯარი ჭიანჭველის გორასავით ელალებოდნენ ქართველობას. ქართველობა ჩავარდა საშინელს განსაცდელში. აღარც მკლავი, აღარც გული აღარა ვარგობდა სპარსთა სიმაგრისა, იარაღისა და სიმძლავრის წინ!

მაშინ დავითმა და იმასთან მისმა ამხანაგმა აღათანგ ხერხეულიძემ, რომელთაც თითო თვალი ჰქონდათ ომებში დათხრილი, გადასწყვიტეს ან სიკვდილი და ან გამოხსნა ქართველთ ჯარისა ამ განსაცდელისაგან. ისინი გაუძღვნენ ალლანიშვილის საგლდანე-

3981

ლო ჯარს, აღათანგ საყორნიოს, ერთი დაჰკივლეს და გადასცვივდნენ ხმალ და ხმალ სპარსთა სანგრებსა და სიმაგრეებზედ.

საშინელი მუსრი და რისხვა შეეტანეს სპარსთა ჯარებში. ამათ გადაჰყვა სხვა ქართველობაც. მაგრამ ესენი გატაცებულნა თავისის გულითა და მკლავის ძლიერებით წავიდნენ მეტად წინ და მოემწყვდნენ შუა სპარსთა ჯარებში.

აქ ორივენი გახდნენ მსხვერპლნი მტრის მახვილისა. ისინი დაიხოცნენ გმირულად და აღარ მოესწრნენ იმ საშინელს მარცხსა და მუსრს, რაც დაემართა ამ დაუვიწყარს მარაბდის ომში ქართველობას.

ცხრა ათასი ქართველი შეიქმნა მსხვერპლი ამ ომისა...

ამ ვვარად გმირულად გააატარა თავისი სიცოცხლე ქვეყნისათვის მოულალავად თავ-განწირულმა დავით ჯანდიერ-ასლანიშვილმა და გმირულისავე სიკვდილით შესწირა ქვეყნის ბედნიერებას თავი.

947.922
03 981

ფასი ორი შაური.